

მსოფლიო ბისტონის

ორვან ფასი

ნობენდს პრემიუს დაურეამი ინიციატივის გარმშვი

შავი
წიმინდე

თურქულიდან თარგმნა ნანა ჯანაშიამ

ორჰან ფამუქი

შავი ნიგენი

რომანი

მეორე გამოცემა, 2018

მთარგმნელი **ნანა ჯანაშია**

რედაქტორი **რუსულან გორგაძე**

დიზაინერი **ია მახათაძე**

ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013, 2018
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი

ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65

ელფონსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-922-9

Orhan Pamuk

KARA KITAP

Translated by Nana Janashia

This translation has been published with the financial support of TEDA.

Copyright © Iletisim Yayıncılık A.Ş, 1994

Georgian translation published by Sulakauri Publishing, 2013, 2018

All rights reserved.

www.sulakauri.ge

ვუძლვნი ჩემს მეუღლეს, აილინს

„იპნ არაბის¹ თანახმად, ერთხელ სულების მიერ ცად აყვანილმა
მისმა მეგობარმა მოხეტიალე დერვიშმა კაფის მთას² მიაღწია და
დაინახა, რომ მას გარს გველი შემოჰვეოდა. ამჟამად ცნობილია,
არც ამგვარი მთა არსებობს და არც გველი“.
ისლამის ენციკლოპედია

¹ მუჰამედინ იპნ არაბი (1165-1239) – გამოჩენილი სუფი მოაზროვნე და პოეტი

² ლეგენდარული წმინდა მთა ისლამურ გადმოცემებში

ნაწილი I

თავი პირველი

ბალიფმა რუია პირველი რომ ნახა

„ნუ იყენებთ ეპიგრაფს. იგი ნანარმოებში საიდუმლოს კლავს!“
ადლი

„და თუ ის მაინც უნდა მოკვდეს, საიდუმლოც შენ მოკალ და
საიდუმლოს გამყიდველი ცრუ წინასწარმეტყველიც!“
ბაპთი¹

ოთახის სასიამოვნო რბილ სიბნელეში ლურჯ, კუბოკრულ საბან-
ში გახვეული რუია პირქვე ინვა და ტკბილ ძილს მისცემოდა. ზამ-
თრის დილა თენდებოდა – თითო-ოროლა მანქანა და ძველი ავტო-
ბუსი ამოძრავებულიყო, ფოლაჩების² დამტარებლის შეძახილებს
სალეფის³ გამყიდველის კასრის კაკუნი ერწყმოდა, სამარშრუტო
ტაქსების გაჩერებიდან კი მეთვალყურის სასტვენის ხმა ისმოდა.
ლურჯი ფარდების გამო ზამთრის მკრთალ სინათლეს ტყვიისფერი
დაჰკრავდა. ნამძინარევი გალიფი ცოლს მიაშტერდა – რუიას ნიკაპი
ბალიშში ჩაერგო. ვინ იცის, რა ხდებოდა ახლა მის გონიერაში.

მეხსიერება ბალს ჰეგავსო, წერდა ერთხელ ჯელალი თავის საგა-
ზეთო სვეტში.

„რუიას ბალები, რუიას ბალები... ნუ ფიქრობ, ნუ, თორემ ეჭვები
არ მოგასვენებს!“

მაგრამ ცოლის შუბლის შემყურე გალიფი მაინც ჩაფიქრდა.

¹ ადლი და ბაპთი – ზოგი ვერსიის თანახმად, ავტორის მიერ გამოგონილი პირებია.
ამავე დროს, პირველი სულთან ბეიაზიდის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო, მე-
ორე კი – აპერედ I-ისა.

² ჩვენი ხაჭაპურისა და კუბდარის მსგავსი ღვეზელი

³ ჯადვარისგან დაყენებული ცხელი სასმელი

უშფოთველ ძილში ჩაძირული რუიას მიუწვდომელი გონების მზიანი ბალის ტირიფებს, აკაციებსა და ვარდებს შორის გასეირნება ინატრა. დარცხვენილსა და შეშინებულს თვალწინ ის სიფათები დაუდგა, სავარაუდოდ სეირნობისას რომ გადააწყდებოდა: „შენც აქა ხარ? გამარჯობა!“ კარგად ნაცნობი უსიამოვნო მოგონებების გარდა, სრულიად მოულოდნელი მამაკაცების აჩრდილების ნარმოდგენამ გული ატკინა: „მაპატიე, ძმაო, შენ ჩემს ცოლს საიდან იცნობ?“ „სამი წლის წინ გავიცანი თქვენს სახლში“; „ალადინის დუქანში მოდის ჟურნალებს რომ ყიდულობდა“; „ერთ სკოლაში ვსწავლობდით“; „კინოთეატრის შესასვლელში ხელიხელჩაკიდებულები რომ იდექით...“ არა, ეგებ რუიას მოგონებები არც ასეთი ხალხმრავალი და დაუნდობული იყო?! შესაძლოა, მისი მეხსიერების ჩაბნელებული ბალის ერთადერთ ნათელ წერტილში ახლა რუია და გალიფი ნავით სეირნობდნენ. რუიას ოჯახის სტამბოლში ჩამოსვლიდან ექვსი თვის შემდეგ გალიფსა და რუიას ყბაყურა დაემართათ. მაშინ ხან გალიფის დედას, ხან რუიას დედას – ულამაზეს ბიცოლა სიუზანს, ხანაც ორივეს ერთად ბავშვები ჭანჭყარა ავტობუსით ბებექში ან თარაბიაში¹ ნავით სასეირნოდ დაჰყავდათ. იმ წლებში ინფექციურ სნეულებზე უკვე ბევრი რამ იცოდნენ, მაგრამ წამლები ნაკლებად იშოვებოდა; ამასთან, მიიჩნეოდა, რომ ბოსფორის სუფთა ჰაერი ყბაყურას უხდებოდა. დილაობით ლივლივა ზღვაზე კეთილი ნაცნობი მენავის თეთრი ნავი ელოდებოდათ. ქალები კიჩოზე სხდებოდნენ, რუია და გალიფი მენავის უკან, ცხვირზე გვერდივერდ ჩამოსუპდებოდნენ ხოლმე და ხელებსა და ფეხებს წყალში ატყაპუნებდნენ. წყლის ზედაპირზე წყალმცენარეები, მაზუთის შვიდფერი ლაქები და გაზეთის ნაგლეჯები დაცურავდა, რომლებზეც ჯელალის წერილის დანახვას ცდილობდნენ.

რუია პირველად რომ ნახა (ყბაყურამდე ექვსი თვით ადრე), სასადილო მაგიდაზე შემოდგმულ ტაბურეტზე დასკუპებულ გალიფს დაღაქი თმას კრეჭდა. პარიკმახერი, ულვაში დუგლასისას² რომ მიუგავდა, ბაბუას გასაპარსად კვირაში ხუთჯერ მათთან სახლში დადიოდა. ეს ის დრო იყო, არაბისა და ალადინის დუქნების წინ ყავის რიგები რომ იდგა, ნეილონის წინდები მხოლოდ გადამყიდველებთან იშოვებოდა და სტამბოლში 56-ე მოდელის „შევროლეების“ რაოდე-

¹ სტამბოლის ზღვისპირა უბნები

² დუგლას ფერდენესი (1883-1939) – ამერიკელი კინომსახიობი, სცენარისტი, რეჟისორი

ნობა დღითი დღე მატულობდა. იმავე პერიოდში გალიფი დაწყებით სკოლაში შევიდა და გაზეთ „მილიეთის“¹ მე-2 გვერდზე სელიმ ქაჩ-მაზის ფსევდონიმით დაბეჭდილ ჯელალის სტატიებს ინტერესით კითხულობდა. წერა-კითხვა უკვე იცოდა – 2 წლით ადრე ბებიამ ასწავლა. სასადილო მაგიდას მიუსხდებოდნენ ხოლმე და ბებია ჩახლე-ჩილი ხმით უდიდეს საოცრებაზე უყვებოდა – როგორ უყვარდებოდათ ასოებს ერთმანეთი. ბებიას პირში მუდმივად „ბაფრა“² ჰქონდა გაჩრილი, რომლის კვამლისაგან გალიფს თვალები ეცრემლებოდა, „დედანაში“ დახატული უზარმაზარი ცხენი კი ლურჯ ფერს იკრავდა და ცოცხლდებოდა. ცხენი, რომელსაც ქვეშ „ცხენი“ ეწერა, წყლის კოჭლი დამტარებლისა და ქურდი მეძველმანის ურმებში შებმულ გაძვალტყავებულ ცხენებზე გაცილებით დიდი იყო. მაშინ გალიფს ძალიან უნდოდა, ეს ვეებერთელა ბედაური ჯადოსნური სითხით გაეცოცხლებინა. მოგვიანებით კი, როცა პირდაპირ მეორე კლასში დაჯდომის უფლება არ მისცეს და სკოლაში ანბანის სწავლა ხელახლა მოუხდა, ეს ნატვრა უკვე სულელურად ეწვენებოდა.

ბაბუას მაშინ, დაპირებისამებრ, ბრონეულისფერ ბოთლში ჩასხ-მული ჯადოსნური სითხე რომ მოეტანა, გალიფი მას | მსოფლიო ომის ცეცელინების, ზარბაზნებისა და ტალახში ამოსვრილი გვამების ფოტოებით სავსე ძველ და დამტვერილ უურნალ „Illustration“-ებს, ბიძია მელიპის მიერ პარიზიდან და მაროკოდან გამოგზავნილ ღია ბარათებს, ვასიფის მიერ გაზეთ „დუნიადან“ ამოჭრილი მეძუძური ორანგუტანის სურათსა და ჯელალის მიერ ასევე გაზეთებიდან ამოჭ-რილ უცნაურ სახეებს დაასხამდა. მაგრამ ბაბუა გარეთ უკვე წვერის გასაპარსადაც აღარ გადიოდა, მთელ დღეს შინ ატარებდა, თუმცა საგარეოდ კი ეცვა – თავისივე წვერივით ტყვიისფერი, ფართოსაყე-ლოიანი ძველი ინგლისური პიჯაკი, გაცრეცილი შარვალი და ზონრის ფორმის „კლერკის გალსტუკი“ (ამ სიტყვას ასე მამა გამოთქვამდა. დედა ყოველთვის „ჰალსტუქს“ ამბობდა, ალბათ იმიტომ, წარმოშო-ბით გაცილებით უფრო მდიდარი ოჯახიდან რომ იყო). დედა და მამა ბაბუას ისე იხსენიებდნენ, როგორც ძველ, ბათქაშჩამოცვენილ ხის სახლს, ნელ-ნელა რომ ინგრევა. ცოტა ხანში ბაბუა ავიწყდებოდათ და კამათს იწყებდნენ.

– შენ ზემოთ ადი და ითამაშე! – ეუბნებოდნენ მაშინ გალიფს.

¹ ერთ-ერთი უმსხვილესი თურქული გაზეთი

² თურქული სიგარეტი

- ლიფტით ავიდე? – კითხულობდა გალიფი.
- ლიფტში მარტო არ ჩაჯდეს!
- მარტო არ შეხვიდე ლიფტში!
- ვასიფს ვეთამაშო?
- არა, ვასიფი ბრაზობს!

არადა ვასიფი სულაც არ ბრაზობდა. ვასიფი ყრუ-მუნჯი იყო, მაგრამ მშვენივრად ხვდებოდა, როცა იატაკზე ვხოხავდი, ე.ი. „საიდუმლო გასასვლელში“ ვიყავი; საწოლების ქვეშ თუ დავძვრებოდი, ე.ი. მტრის სანგრები მქონდა მიზანში ამოლებული და ამას კატასაცით უხმოდ მის დასაცინად არ ვაკეთებდი. მაგრამ სხვებმა, რუიას გარდა, ეს არ იცოდნენ. ხანდახან ვასიფთან ერთად ფანჯრიდან ტრამვაის ხაზს გავცექეროდი ხოლმე. ბეტონის კორპუსის ბეტონის ლოჯიის ერთი ფანჯარა მეჩეთს გადაჰყურებდა, მეორე – ქალთა ლიცეუმს. ამ ორ სამყაროს შორის იყო მოქცეული პოლიციის განყოფილება, ნაბლის ორი ხე, კუთხე და ალადინის მუდამ ხალხმრავალი დუქანი. დუქნის მუშტრებს რომ ვუყურებდით ან ერთმანეთს ქუჩაში მოძრავ მანქანებზე ვუთითებდით, ვასიფი უცებ აღელდებოდა ხოლმე და ისეთ საშინელ ხმას გამოსცემდა, გეგონებოდა, სიზმარში ეშმაკს ებრძვისო. მე თავს ვიკატუნებდი, ვითომ მეშინოდა. ასეთ დროს ბაბუა (იგი უკან გვეჯდა, ცალი ფეხი დაბალ სკამზე ედო და რადიოს უსმენდა) ბებიას ეუბნებოდა ხოლმე (ორივენი სიგარეტს აბოლებდნენ), ვასიფმა გალიფი ისევ შეაშინაო.

– აბა, ერთი მითხარით, რამდენი მანქანა დათვალეთ? – ყასიდად გვეკითხებოდა ბებია, რომელიც არც ბაბუას ნათქვამს უგდებდა ყურს და არც ჩვენს პასუხს ისმენდა „დოჯების“, „პაკარდების“, „დესოტოებისა“ და „შევროლების“ რაოდენობის შესახებ.

რადიო, რომლის თავზეც სრულიად არათურქული გარეგნობის გრძელბენვიანი, კმაყოფილი ძაღლის სურათი იდგა, მუდმივად ჩართული იყო და ბებია და ბაბუა მთელ დღეს თურქულ და ევროპულ მუსიკას, უკანასკნელ ცნობებს, ბანკების, ოდეკოლონებისა და ეროვნული ლატარიის რეკლამას უსმენდნენ; თან გაუთავებლად ლაპარაკობდნენ, ძირითადად – მოწევის მავნებლობაზე, რაზეც ისე წუხდნენ, როგორც მომაპეზრებელ ქრონიკულ კბილის ტკივილზე. სიგარეტისთვის აქამდე თავი რომ ვერ დაენებებინათ, ერთმანეთს აბრალებდნენ. ერთს რომ ხველა აუვარდებოდა, მეორე ჯერ გამარჯვებული და კმაყოფილი, შემდეგ კი შეშფოთებული და გაბრაზებული

სახით თავის სიმართლეს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა. ცოტა ხანში რომელიმეს მოთმინება ელეოდა:

– თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს! სიგარეტის მეტი რაღა დამ-რჩენია! მამშვიდებს მაინც!

ამის შემდეგ ხანმოკლე სიჩუმე ისადგურებდა (მხოლოდ დერეფანში ჩამოკიდებული კედლის საათის წიკწიკი ისმოდა), მაგრამ ძალიან მალე ისევ გაზეთებს აშრიალებდნენ, ნაშუადლევს „ბეზიქს“¹ თამაშობდნენ და ისევ ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ...

– თავისი წერილების საკუთარი სახელით გამოქვეყნების უფლე-ბას რომ მისცემდნენ, ეგებ ცოტა გონს მოსულიყო, – იტყოდა ბაბუა, როცა ვახშმად ან რაბიოს მოსასმენად დანარჩენებიც შეიკრიბებოდ-ნენ ხოლმე, ან ჯელალის საგაზეთო სვეტს ვინ იცის, მერამდენედ წაიკითხავდა.

– ოჲ, ამხელა კაცია... – ოხრავდა ბებია, მერე კი ისეთ გულუ-ბრყვილო გამომეტყველებას იღებდა, თითქოს ამ შეკითხვას პირვე-ლად სვამდა, – საკუთარი სახელით გამოქვეყნების უფლებას რომ არ აძლევენ, იმიტომ წერს ასე ცუდად, თუ ცუდად რომ წერს, სახელს იმიტომ არ აწერინებენ?

– სხვა თუ არაფერი, ასე ცოტა ვინმე ხვდება, თავს რომ გვჭრის, – დასძენდა ბაბუა თავის დასამშვიდებლად.

– ვერავინაც ვერ ხვდება, – მიუგებდა ბებია ისეთი ტონით, რომ-ლის გულწრფელობაში გალიფსაც კი ეჭვი ეპარებოდა, – განა ვინმეს უთქვამს ოდესმე, რომ თავის ესეებს ჩვენზე წერს?

ჯელალმა ერთი თავისი ადრეული ესე, „სახლი“, მოგვიანებით, როცა სახელი მოიხვეჭა და მკითხველისგან ასობით წერილს იღებდა, ხელმეორედ გამოაქვეყნა. ზოგი მიიჩნევდა, რომ ფანტაზია გამოელია, ზოგი ფიქრობდა, ქალებისა და პოლიტიკის გამო სხვა ველარაფრისთ-ვის იცლისო, ზოგი კი ამის მიზეზად ელემენტარულ სიზარმაცეს ასახელებდა.

– კარგი ერთი, შენი ჭირიმე! ნეტა ვინ არ იცის, „სახლში“ ჩვენ რომ გვგულისხმობს?! – ბაბუას ისეთი ტონი ჰქონდა, როგორც მეორეხარისხოვან მსახიობს, რომელიც უკვე ალბათ ასჯერ მაინც ნათქვამ წინადადებას გაბეზრებული იმეორებს. ბებიაც ენას კბილს აჭერდა.

სწორედ იმ ხანებში ახსენა ბაბუამ პირველად სიზმარი, რომელსაც

¹ ბანქოს ერთგვარი თამაში

მერე ხშირად ხედავდა. გაუთავებლად გამეორებული ისტორიების მსგავსად, ბაბუას ეს სიზმარიც, თვალებგაბრნყინებული რომ ჰყვებოდა, ლურჯი იყო. სიზმარში ლურჯად წვიმდა, ბაბუას კი თმა და წვერი ეზრდებოდა.

– საცაა დალაქიც მოვა, – აღნიშნავდა ბებია, როცა ბაბუას სიზმარს მოთმინებით ბოლომდე მოისმენდა. თუმცა ბაბუას დალაქის სესნება არ სიამოვნებდა.

– გაუთავებლად ლაყბობს და ყველაფერში ცხვირს ყოფს!

აი, მაშინ, ლურჯ სიზმარსა და დალაქზე ლაპარაკი რომ მოამთავრა, ბაბუამ ერთი-ორჯერ ჩაიჩურჩულა, სხვაგან სხვა სახლი უნდა აგვეშენებინა, ეს უიღბლო გამოდგაო, რასაც გალიფმაც მოჰკურა ყური.

ნლების შემდეგ „შეპრიქალფი“¹ სართულ-სართულ გაიყიდა და მართლაც სხვაგან გადავიდნენ, აქ კი მეზობელი შენობების მსგავსად, მზა ტანსაცმლის პატარ-პატარა მაღაზიები, უკანონო აბორტმახერი ექიმი ქალებისა და სადაზღვევო აგენტების ოფისები განთავსდა; მაგრამ, როცა კი ალადინის დუქანს ჩაუვლიდა, ყოფილი საკუთარი სახლის მახინჯი და ბნელი ფასადის დანახვაზე გალიფი ყოველთვის იმაზე ფიქრობდა, რა უნდა ყოფილიყო ბაბუას სიტყვების მიზეზი. ოჯახის უიღბლობას ბაბუა ალბათ თავის უფროს და ყველაზე უცნაურ ვაჟს უკავშირებდა, ერთ მშვენიერ დღეს ცოლ-შვილი რომ მიატოვა და საზღვარგარეთ წავიდა, საიდანაც ახალ ცოლთან და ქალიშვილთან (რუია) ერთად დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდა. ბიძია მელიპი ნლების განმავლობაში ჯერ ევროპასა და აფრიკაში, შემდეგ კი იზმირში ცხოვრობდა. ბაბუა ყოველთვის საშინლად ღიზიანდებოდა, როცა დალაქი ეკითხებოდა, უფროსი ბიჭი აფრიკიდან როდის ჩამოდისო.

ახალი სახლის მშენებლობის დაწყებისას ბიძია მელიპი ჯერ კიდევ სტამბოლში იმყოფებოდა. გალიფს ჯელალისგან ჰქონდა გაგონილი, რომ ბიძია მელიპი იმ დროს დაახლოებით 30 წლისა იქნებოდა; თავის საადვოკატო კანტორაში მუშაობაზე მეტ დროს კლიენტებთან ჩეუბს ანდომებდა, სასამართლო საქმეებს კი გემებსა და უკაცრიელ კუნძულებს ახატავდა. მამამისისა და მის ძმებს ქარაქოიში „თეთრი აფთიაქი“, ხოლო სირქეჯიში² ტკბილეულის დუქანი ჰქონდათ, რომელიც ჯერ საკონდიტროდ, შემდეგ კი სასადილოდ გადააკეთეს,

¹ გულის ქალაქი (თურქ.). სტამბოლში მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს საკუთარი სახელები აქვს. მაგ., ვარდი, მერცხალი და ა.შ.

² სტამბოლის უბნები

რადგან პაჯი ბექირის ტკბილეულსა და რახათლუხუმს კონკურენცია ვერ გაუწიეს და ბებიას მოდულებული კომშის, ალუბლისა და ლელ-ვის მურაბების გაყიდვას მიჰყვეს ხელი. ბიძია მელიპი საღამობით ძმებთან შესახვედრად მშენებლობაზე მიღიოდა, გაზარმაცებულ მუშებს აწინკებდა და ხელებდაკაპინებული საქმეში ერთვებოდა. მან სწორედ ამ დროს წამოიწყო იმაზე ლაპარაკი, რომელიმე ჩვენგანი აუცილებლად საფრანგეთსა და გერმანიაში უნდა წავიდეს, რათა ევროპული საკონდიტრო საქმე შეისწავლოს, დაშაქრული წაბლის შესაფუთი მოვარაყებული ქაღალდი შეუკვეთოს, ფრანგებთან ერთად ფერადი, ქაფიანი თხევადი საპნის სანარმო გახსნას, ევროპასა და ამერიკაში იმ დროს პანტაპუნტით გაკოტრებული ქარხნებიდან იაფ-ფასიანი მანქანა-დანადგარები შეისყიდოს, პალე მამიდას როიალი ჩამოუტანოს, ყრუ-მუნჯი ვასიფი კი ვინმე კარგ ოტოლარინგოლოგსა და ნევროპათოლოგს აჩვენოსო. ორი წლის შემდეგ ვასიფი და ბიძია მელიპი რუმინული გემით, „ტრისტანათი“, მარსელში გაემგზავრნენ. ამ გემის ვარდის წყლის არომატით გაჟღენთილ ფოტოს გალ-იფმა მოგვიანებით ბებიას ერთ-ერთ ყუთში მიაგნო, ჯელალმა კი რვა წლის შემდეგ ვასიფის მიერ შენახულ საგაზეთო ამონაჭრებში წაიკითხა, რომ გემი შავ ზღვაზე ნაღმზე აფეთქებულიყო. სახლის მშენებლობაც სწორედ ამ დროს დასრულებულა, მაგრამ ჯერ იქ არ გადასულიყვნენ. ერთი წლის შემდეგ ვასიფი სირქეჯის სადგურში მარტო ჩამოვიდა, ცხადია (უკანასკნელ სიტყვას ამ თემაზე ყოველი საუბრისას გალიფისათვის სრულიად გაუგებარი ხაზგასმით პალე მამიდა ამატებდა ხოლმე), ძველებურად ყრუ-მუნჯი. მას გულში იაპონური თევზებით სავსე აკვარიუმი ჰქონდა ჩახუტებული. ვასიფი ამ თევზების შვილთაშვილთაშვილთაშვილებთან 50 წლის შემდეგაც იმეგობრებდა. პირველ ხანებში აკვარიუმს გვერდიდან არ იშორებდა და ზოგჯერ მღელვარებისგან სუნთქვაშეკრული, ზოგჯერ კი მწარედ აცრემლებული შეჰყურებდა. ჯელალი და დედამისი იმხანად მესა-მე სართულზე ერთ-ერთ ბინაში ცხოვრობდნენ, რომელიც შემდეგ ერთმა სომხურმა ოჯახმა იყიდა, მაგრამ ვინაიდან ბიძია მელიპს პარიზში სავაჭრო საქმების გასაგრძელებლად ფული სჭირდებოდა, ერთხანს პატარა მანსარდაში გადავიდნენ, მანამდე საკუჭნაოდ რომ იყენებდნენ, თავიანთი ბინა კი გააქირავეს. ბიძია მელიპის მიერ პარიზიდან გამოგზავნილი წერილები და ამანათები შაქარლამისა და ნამცხვრების რეცეპტებით, საპნისა და ოდეკოლონების ფორმულე-

ბით, მათი მომხმარებელი მსახიობებისა და ბალერინების ფოტოებით, პიტნიანი კბილის პასტებით, ლიქიორიანი შოკოლადით, სათა-მაშო სახანძრო მანქანებითა და მეზღვაურთა ქუდებით იყო სავსე. როცა გზავნილების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, ჯელალის დედამ ბავშვთან ერთად მამისეულ სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. მამამისი ვაკუფების¹ სამინისტროს თანამშრომელი გახლდათ და ცოლთან ერთად აქსარაიში², ხის პატარა სახლში ცხოვრობდა. ამ გადაწყვეტილების საბოლოოდ განხორციელებისკენ ჯელალის დედას მსოფლიო ომის დაწყებამ და ბიძისა მელიპის ბენლაზიდან³ გამოგზავნილმა ღია ბარათმა უბიძგა. ყავისფერ ბარათზე უცნაური მეჩეთის მინარეთი და თვითმფრინავი ეხატა და ეწერა, რომ სამშობლოში დასაპრუნებელი გზები დანალმული იყო. ომის შემდეგ ბიძია მელიპი მარკოში აღმოჩნდა, საიდანაც უკვე შავ-თეთრ ბარათებს გზავნიდა. ბებიამ და ბაბუამ ამგვარად შეიტყვეს, რომ ბიძია მელიპი მარაკეში⁴ გაცნობილ ულამაზეს თურქ ქალიშვილზე დაქორწინდა, რომელიც მუჰამედის შთამომავალი ანუ სეიდე გახლდათ. ბარათს კოლონიალური სტილის სასტუმროს ხელით გაფერადებული გამოსახულება ამშვენებდა. სასტუმროში მოგვიანებით ამერიკული ფილმი გადაიდეს, რომელშიც იარაღით მოვაჭრები და ჯაშუშები ერთსა და იმავე ქალებს ეტრფოდნენ (კარგა ხნის შემდეგ, გაცილებით გვიან პერიოდში, სანამ სასტუმროს მეორე სართულიდან გადმოფენილი დროშებით ქვეყნებს დაადგენდა, გალიფმა ამ ბარათს კიდევ ერთხელ დახედა და ჯელალის „ბეიოლლუელ⁵ ბანდიტებში“ გამოყენებული მეთოდის მეშვეობით დაასკვნა, რომ რუია ამ კრემიანი ნამცხვრის-ფერი სასტუმროს ერთ-ერთ ოთახში ჩაისახა). ექვსი თვის შემდეგ ბიძია მელიპის იზმირიდან მოსულმა ღია ბარათმა ყველა გააოცა, რადგან აღარავის ეგონა, ოდესმე ის თურქეთში თუ დაბრუნდებოდა. იმასაც ამბობდნენ, მელიპმა და მისმა ახალმა ცოლმა ქრისტიანობა მიიღეს, მისიონერებს კენიაში გაჰყვნენ და იქ ერთ ველზე, სადაც ლომები სამრქიან იომებზე ნადირობენ, სექტანტური ეკლესია ააგეს, რომელშიც ნახევარმთვარე და ჯვარი ერთმანეთს ერწყმისო.

¹ ფონდი (თურქ.)

² სტამბოლის ერთ-ერთი ცენტრალური უბანი

³ სიდიდით მეორე ქალაქი ლიბანში

⁴ ქალაქი მარკოში

⁵ სტამბოლის ცენტრალური უბანი

რძლის იზმირელი ნათესავების ნაცნობი ერთი ჭორიკანა იმასაც კი ამტკიცებდა, ბიძია მელიპი ომის დროს ჩრდილოეთ აფრიკაში ბნელ საქმეებს (იარაღით ვაჭრობას, მეფის მოქრთამვას და ა.შ.) აკვარახჭინებდა და ამის წყალობით მილიონერი გახდაო. თავისი მზეთუნახავი ცოლის ახირებას ვერ გაუძლო და სახელის მოსახვე-ჭად ჰილივუდში მიჰყავსო; რძლის ფოტოები არაბულ-ფრანგულ ჟურნალებში უკვე იბეჭდებაო და სხვა და სხვა. იზმირიდან მოსული ბარათი კვირიდან კვირამდე სართულიდან სართულზე დაჰქონდათ და საეჭვო ბანკონტივით ფრჩხილებით ამონმებდნენ. თავად ბიძია მელიპის თქმით კი თურქეთში დაბრუნების მიზეზი გაუსაძლისი ნოსტალგია გამხდარა, რომელმაც ლამის ლოგინად ჩააგდო. „ახლა“ უკვე კარგად იყვნენ. ბიძია მელიპი თავისი სიმამრის საქმეს (იგი ლელვითა და თამბაქოთი ვაჭრობდა) თანამედროვე მეთოდებით მართავდა. სულ მოკლე ხანში გამოგზავნილ ბარათში უაღრესად ბუნდოვნად ჰყვებოდა აქციებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა მომავალში მთელი ოჯახი ფარულ ომში ჩაეთრია. წერილს ყველა სართულზე სხვადასხვა ინტერპრეტა-ციას აძლევდნენ, მაგრამ როცა ეს წერილი წლების შემდეგ გალიფმა წაიკითხა, მისთვის სრულიად ცხადი გახდა, ბიძია მელიპი არცთუ ორაზროვნად იტყობინებოდა, ოჯახთან ერთად სტამბოლში დაბ-რუნებას ვაპირებო. აქვე ინერებოდა, ქალიშვილი შემძინა, ოღონდ ვერ გადაგვინყვეტია, რა დავარქვათო.

ბიძია მელიპის ბარათებს ბებია ბუფეტის ვიტრინაში ლიქიორის სერვიზის გარშემო ათავსებდა. რუიას სახელი გალიფმა პირველად სწორედ ერთ-ერთ ბარათში ამოიკითხა. ეკლესიების, ხიდების, ზღვის, კოშკების, გემების, მეჩეთების, უდაბნოს, პირამიდების, სასტუმროების, პარკებისა და ცხოველების გამოსახულებიან ამ ბარათებს შორის, რომლებიც ვიტრინას მეორე ჩარჩოსავით ჰქონდა გარშემოვლებული და ბაბუას გულისწყრომას იწვევდა, რუიას ჩვილობისა და ბავშვობის ამსახველი იზმირში გადაღებული ფოტოებიც ერია. მაშინ გალიფს ეუბნებოდნენ, თანატოლი ბიძაშვილი (ახლებურად კუზინა) გყავსო, მაგრამ მას რუიაზე მეტად სეიდე ბიცოლა სიუზანი აინტერესებდა, რომელსაც ფოტოზე ქალიშვილის საჩვენებლად ადამიანის წარმოსახვის ამაფორიაქებელ, შემაშინებელ, შავ-თეთრ გამოქვაბულზე ჩამოფარებული ბადე გადაეწია და კამერაში სევდიანად იმზირებოდა. რუიას ფოტოები ხელიდან ხელში გადადიოდა და სახლის მამაკაცები-

ცა და ქალებიც წამით ჩუმდებოდნენ. გალიფი მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა, რომ ამ სიჩუმეს ფოტოებზე აღბეჭდილი სილამაზე იწვევდა.

იმ პერიოდში ძირითადი სასაუბრო თემა ბიძია მელიპის სტამ-ბოლში დაბრუნება და სახლის სართულის არჩევა გახდა. საქმე ის იყო, რომ ჯელალის დედა, რომელიც მეორედ ერთ ადვოკატზე გათხოვდა, დაუდგენელი ავადმყოფობით სრულიად ახალგაზრდა გარდაცვალა. ჯელალი აქსარაის ობიექტიან სახლში აღარ გაჩერდა და ბებიას დაუინებული მოთხოვნის შემდეგ საცხოვრებლად მამისეული სახლის მანსარდაში დაბრუნდა. ის ერთ-ერთი გაზეთისავის, რომელშიც მომავალში საავტორო სვეტის წამყვანი გახდა, „გაყიდული“ საფეხბურთო მატჩების შესახებ ინფორმაციას აგროვებდა, ბეიოლლუს პატარა ქუჩებზე მდებარე ბარების, ღამის კლუბებისა და საროსკიპოების ძევლი ბიჭების ფარულ და კარგად მოფიქრებულ დანაშაულებზე ჰყვებოდა, ადგენდა კროსვორდებს, რომლებშიც შავი უჯრედების რაოდენობა თეთრებისას ყოველთვის აღმატებოდა, საჭიროების შემთხვევაში ოპიუმისა და ღვინისგან გაბრუებული „ოსტატის“ წაცვლად მის სათავგადასავლო რომანს აგრძელებდა... „ადამიანის დახასიათება ხელნერის მიხედვით“, „სიზმრების ახსნა“, „თქვენი სახე – თქვენ შესახებ“, „დღევანდელი ჰოროსკოპი“ (წატესავების, წაცნობებისა და შეყვარებულებისათვის მოკითხვის გაგზავნის ტრადიცია პირველად სწორედ მაშინ დამკვიდრდა), „გინდ დაიჯერე, გინდ – არა“ – ეს ის რუბრიკებია, რომლებშიც ჯელალის სახელს ხშირად შეხვდებოდით. დარჩენილ დროს უახლეს ამერიკულ ფილმებზე კრიტიკული წერილების წერას ახმარდა (ჯელალს კინოთეატრებში უფასოდ შესვლის უფლება ჰქონდა). იმასაც კი ამბობდნენ, მანსარდაში მარტო ცხოვრებას თუ გააგრძელებს, თავისი შრომისუნარიანობის წყალობით მალე იმდენ ფულს იშოვის, ცოლის შერთვასაც შეძლებსო. მოგვიანებით, როცა ერთ დილას აღმოჩნდა, რომ ტრამვაის ხაზის გაყოლებაზე ქვაფენილი ყოვლად უაზრო ასფალტით დაეფარათ, გალიფმა ისიც კი ითიქრა, ბაბუას ნახსენები უილბლობა ეგებ ამ სახლის სივიწროვეს, საკმარისი ფართობის არქონას ან მსგავს გაუგებარ და საშიშ რაღაცეებს უკავშირდებაო. ბიძია მელიპი, თითქოს იმაზე გაბრაზებული, რომ მის ღია ბარათებს არასერიოზულად ეკიდებოდნენ, ერთ მშვენიერ საღამოს თავის ლამაზ ცოლთან და ლამაზ ქალიშვილთან ერთად, უამრავი სკივრითა და ჩემოდნით დატვირთული, სტამბოლში ჩამოვიდა და, რა თქმა უნდა, სახლის მანსარდაში დასახლდა.

გაზაფხულის იმ დილას გალიფს სკოლაში დაგვიანდა. ეს მანამდე სიზმარშიც ნახა – ლურჯთმიან ლამაზ გოგოსთან ერთად (მისი ვინაობა სიზმრიდან ვერ გამოიტანა) მუნიციპალურ ავტობუსში იჯდა და სკოლის საწინააღმდეგო მიმართულებით მიღიოდა. სინამდვილეში იმ დღეს მამასაც დაჰვიანებოდა სამსახურში. მზით განათებული სუფრა ლურჯ-თეთრ საჭადრაკო დაფას ჰკავდა. დედა და მამა მაგიდას უსხდენ და წინა საღამოს მანსარდაში დაბინავებულებზე ისე გულგრილად საუბრობდნენ, როგორც სახლში მომრავლებულ თაგვებზე ან მოსამსახურე ესმა ჰანუმის საყვარელ მოჩვენებებსა და ჯინებზე. გალიფს არც სკოლაში დაგვიანებაზე ფიქრი უნდოდა და არც მანსარდის ახალ ბინადრებზე. ამიტომ ბებიასა და ბაბუას სართულზე ავიდა, სადაც არაფერი იცვლებოდა ხოლმე, თუმცა ბაბუასთან მოსული დალაქი სწორედ მანსარდის ბინადრების ამბავს კითხულობდა. ბუფეტის ვიტრინიდან ღია ბარათები გამქრალიყო, აქა-იქ კი უცხო და უცნაური საგნები გაჩენილიყო; და კიდევ სუნი, რომელიც გალიფს მომავალში ძალიან შეუყვარდებოდა. უეცრად რატომლაც საშინლად დაითრგუნა, შეშინდა და მოიწყინა – ნეტავ, როგორი იყო ღია ბარათებზე გამოსახული ქვეყნები? ან ის ლამაზი ბიცოლა, მხოლოდ ფოტოებზე რომ ჰყავდა ნანახი? ძალიან მოუნდა, მალე გაზრდილიყო. თმას შევიჭრიო, უთხრა ბებიას, რომელიც ამ ამბავმა ძალიან გაახარა. ყველა სხვა ყბედივით ბრიყვმა დალაქმა გალიფი ბაბუას სავარძლის მაგივრად მაგიდაზე შემოდგმულ ტაბურეტზე შემოსვა და კისერზე ბაბუას-თვის განკუთვნილი უზარმაზარი თეთრი ზენარი შემოახვია. გალიფს ზენარი ყელში უჭერდა და კაბასავით ფეხებზე დასთრევდა.

გალიფმა და რუიამ ამ პირველი შეცვედრიდან 19 წლის, 19 თვისა და 19 დღის შემდეგ იქორწინეს. შემდგომში გალიფს, დილაობით ბალიშში თავჩარგული მძინარე ცოლის შემყურეს, არაერთხელ უფიქრია, რომ ეს ლურჯი საბანი და ბაბუას ის თეთრი ზენარი ერთნაირად აფორი-აქებდა. რუიასათვის ამის შესახებ არასდროს არაფერი უთქვამს, რადგან იცოდა, ცოლი ასეთი ბუნდოვანი მიზეზის გამო თეთრეულს არ გამოცვლიდა.

გალიფი კართან დატოვებული გაზეთების ასაღებად ჩვეულების-ამებრ ფრთხილად წამოდგა, უნებლიერთ ჯერ ტუალეტისკენ გაემართა, შემდეგ – სამზარეულოსკენ. ჩაის დასაყენებელი ჩაიდანი მისაღებ ოთახში იპოვა. საფერფლე პირამდე ნამწვავებით იყო საესე, რაც იმას მოასწავებდა, რომ რუიას ახალი დეტექტიური რომანის კითხვაში